ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია Newsletter

რექტორის შესახებ

სოფიო მაჭარაშვილი „ბიზნესისა და ტექნოლოგიების“ აკადემიის (BTA) რექტორია და ფლობს ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის (DBA) ხარისხს. მას მრავალწლიანი გამოცდილება აქვს აკადემიურ მენეჯმენტში, ინსტიტუციურ განვითარებასა და ინოვაციური საგანმანათლებლო მიდგომების დანერგვაში. მისი ხელმძღვანელობით BTA-მ გააძლიერა ისეთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიმართულებები, როგორიცაა მდგრადი განვითარება, ბიზნესი, ტექნოლოგიები, რეგიონული განვითარება და მრავალსექტორული თანამშრომლობა.

აკადემიის რექტორის საქმიანობის მთავარი ღირებულებებია ხარისხზე მუდმივი ზრუნვა, ხელმისაწვდომი განათლების განვითარება და აკადემიური ინსტიტუტების როლის გაძლიერება სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი გამოწვევების გადაჭრაში - როგორც თბილისში, ისე რეგიონებში.

33 წლიან გამოცდილებაზე დაფუძნებული “ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია” (BTA) სწრაფად განვითარებად პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებად იქცა, რომელიც ოთხ ფილიალს აერთიანებს ქვეყნის მასშტაბით - სამს თბილისში და ერთს საჩხერეში.

სიახლეები

ხელახალი ავტორიზაცია

2026 წლის 30 იანვარს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას კვლავ მიენიჭა ავტორიზაცია თბილისსა და საჩხერეში.
აღსანიშნავია, რომ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში აკადემიის მიმართ ექსპერტების მიერ რეკომენდაციები არ გაცემულა

ახალი საგანმანათლებლო ინიციატივა BTA-ში

დებატების ინსტიტუტის პროექტის - „დებატები უკეთესი პროფესიული განათლებისათვის“ ფარგლებში აკადემიაში დებატების კლუბი შეიქმნა. 27 იანვარს გაიმართა კლუბის პირველი შეხვედრა, სადაც სტუდენტები დებატების მოსამზადებელ კურსში ჩაერთნენ. კურსი მიზნად ისახავს მონაწილეებში კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების, ეფექტიანი კომუნიკაციის, საჯარო გამოსვლისა და გუნდური მუშაობის უნარების განვითარებას.

BTA-ის გუნდის წარმატება

ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა გერმანიაში, ბოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმატებით დაამთავრა "ეთიკის: ეკონომიკის, პოლიტიკისა და სამართლის" ფაკულტეტი და მიიღო მაგისტრის ხარისხი!

კულინარიული კონკურსი

29 იანვარს საჩხერეში, ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიამ საქართველოს შეფთა ასოციაციასთან თანამშრომლობით კულინარიულ კონკურსს უმასპინძლა. კონკურსში მონაწილეობდნენ აკადემიის მოკლევადიანი პროგრამის მსმენელები, რომლებიც გამოცდილი შეფ-მზარეულებით დაკომპლექტებულმა ჟიურიმ შეაფასა, გამარჯვებულები კი დაჯილდოვდნენ.

ღონისძიებას დაესწრო საჩხერის მუნიციპალიტეტის მერი ლევან ივანაშვილი, რომელმაც აღნიშნა აკადემიის როლი რეგიონში თანამედროვე განათლების ხელმისაწვდომობის ზრდაში და მისი მნიშვნელობა ახალგაზრდებისთვის.

კულინარიულ კონკურსს ასევე ესწრებოდნენ საქართველოს შეფთა ასოციაციის, სახელმწიფო უწყებების, ბიზნესსექტორის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პროფესიული განათლების სფეროში თანამშრომლობის მნიშვნელობას.

BTA-ის მონაწილეობა ICN-ის სამუშაო ვიზიტში ჟენევაში

2026 წლის 12–15 იანვარს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია“ ჟენევაში ICN-ის სამუშაო ვიზიტში მონაწილეობდა, როგორც პარტნიორი პროფესიული საგანმანათლებლო ორგანიზაცია.

აკადემიას წარმოადგენდნენ პროფესიული მასწავლებლები ირმა რაზმაძე და ნანი მაჭარაშვილი.

ვიზიტის ფარგლებში განიხილეს საექთნო ლიდერობის განვითარება, პროფესიული განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა, პერიოპერაციული და კრიტიკული საექთნო პრაქტიკა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობები.

BTA მუდმივად ცდილობს ხელი შეუწყოს თანამშრომლების პროფესიულ განვითარებას და ეხმარება მათ ადგილობრივ და საერთაშორისო წარმატების მიღწევაში!

THE ACADEMY OF BUSINESS AND TECHNOLOGIES Newsletter

About The Rector

Doctor Sofio Macharashvili serves as the Rector of the Business and Technology Academy (BTA) and holds a Doctor of Business Administration (DBA). She brings extensive experience in academic leadership, institutional development, and the implementation of innovative educational approaches. Under her leadership, BTA has strengthened its strategic priorities in sustainability, business, technology integration, regional development, and cross-sector collaboration.

Dr. Macharashvili is committed to ensuring academic excellence, expanding access to quality education, and enhancing the role of educational institutions in addressing social, economic, and environmental challenges — both in Tbilisi and in Georgia's regions

Based on 33 years of experience, the Business and Technology Academy (BTA) has become a rapidly developing vocational educational institution, uniting four branches across the country — three in Tbilisi and one in Sachkhere.

NEWS

Re-Authorization

On January 30, the Authorization Council for Vocational Educational Institutions re-granted authorization to the Business and Technology Academy for a six-year term in both Tbilisi and Sachkhere. This achievement is unprecedented: within the authorization process, no recommendations were issued by the expert panel, clearly confirming the Academy's exceptionally high standards of quality and professionalism.

A New Educational Initiative at BTA

Within the framework of the Debate Institute project, "Debates for Better Vocational Education," a debate club was established at the Academy. On January 27, the club held its first meeting, where students participated in a preparatory debate course. The course aims to develop participants' critical and analytical thinking, effective communication, public speaking, and teamwork skills.

BTA PR Manager Earns Master's in Germany

The Public Relations Manager of the Business and Technology Academy successfully completed a Master's degree in Ethics: Economics, Politics, and Law at Ruhr University Bochum in Germany.

Culinary Competition

On January 29, the Business and Technology Academy, in partnership with the Georgian Chefs Association, hosted a culinary competition in Sachkhere. The event aimed to support vocational education, discover young culinary talents, and promote hospitality culture in the region.

Participants included students of BTA's short-term programs, whose training is fully funded by the State Employment Promotion Agency. The contestants' professional skills were evaluated by a jury composed of experienced chefs, and prizes were awarded at the conclusion of the competition.

The event was attended by the Mayor of Sachkhere Municipality, Levan Ivanashvili, who emphasized the important role of BTA in establishing a key educational center in the region. Representatives of the Georgian Chefs Association, the State Employment Promotion Agency, the private sector, and the local community were also present.

BTA Participates in ICN Working Visit in Geneva

January 12–15, 2026 — The Business and Technology Academy participated in an ICN working visit in Geneva as a partner vocational education organization. The Academy was represented by professional instructors Irma Razmadze and Nani Macharashvili.

The visit focused on nursing leadership development, alignment of vocational education with international standards, perioperative and critical nursing practice, and professional development opportunities.

BTA continually supports the professional growth of its staff and helps them achieve success both locally and internationally.